სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და ამავე კოდექსის III თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და და საჯარო ინფორმაციის გაცემის სტატისტიკასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ანგარიშს:

ა) სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 32 განაცხადი, ხოლო საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე, მუნიციპალიტეტის მერიაში მოთხოვნა არ შემოსულა;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაკმაყოფილდა 32 მოთხოვნა;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და შესაბამისად, პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელები არ დადებულა;

ე) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას და შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ადგილი არ ქონია;

ვ) რამდენადაც მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ინფორმაციის დამუშავება - გაცემასთან და საჯარო ინფორმაციის გაცემის უარის თქმის შესახებ არ გასაჩივრებულა, ამდენად არ არსებობს გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები და მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები.

SENAKI MUNICIPALITY

Digitally signed by SENAKI MUNICIPALITY
Date: 2020.12.09 16:53:39 +04'00'